საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020134716923114

ქ. ბათუმი

№ 01/01/47 **18 / აგვისტო / 2014 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩასატარებლად აუცილებელი ორგანიზაციულ - სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 დეკემბრის N092 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი“-ს დამტკიცების შესახებ.

2. დაევალოს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს უზრუნველყოს კანდიდატის შერჩევისა და კონკურსის ჩასატარებლად ორგანიზაციულ - სამართლებრივი ღონისძებების განხორციელება.

3. დაევალოს „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის

ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს, საკონკურსო - საატესტაციო კომისიასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს გასაუბრების თემატიკა.

4. სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველომ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ხინთიბიძე